INFINITE ENERGY

უსასრულო ენერგია

47/57 მ. კოსტავას ქ., ბიზნეს ცენტრი სინათლე
ოფისი 29, 0179 თბილისი, საქართველო
+995 790 200 322 | info@infinite.ge | www.infinite.ge

სამშაბათი, 03 დეკემბერი, 2019
წერილის ნომერი IE-20112018-PA-07

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოგიდგენთ, საჩხერის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი 85 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის „იმერეთი-1"-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. ამასთანავე გაცნობებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა (მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N2-138 ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა).
გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებელობის შემთხვევაში შპს „უსასრულო ენერგიის"-ის სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.
წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
- ქარის ელექტროსადგურის „იმერეთი-1"-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა მასშტაბის მითითებით (გზშ-ს მე-4 თავში ასევე წარმოდგენილია სიტუაციური რუკებიც და ცხრილი, რომელშიც მოცემულია მანძილები საპროექტო ობიექტებიდან უახლოეს სახლებამდე და ზედაპირული წყლის ობიექტებამდე);
- გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „უსასრულო ენერგა"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საპროექტო ტერიტორიების გეოგრაფიული კოორდინარები GIS-ის სისტემაში;
- ერთიანი ცხრილი სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ (შესაბამისი გვერდების მითითებით);

პატივისცემით,

თორნიკე ბახტურიძე

აღმასრულებელი დირექტორი
დირექტორთა საბჭოს წევრი